



**საქართველოს საავტომობილო
სპორტის ფედერაცია**

14.06.2018

/დამტკიცებულია სსსფ-ს
პირველი ვიცე პრეზიდენტის მიერ/
დ. მჭედლიშვილი

შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ი ს ღ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი

Sprint Racing-ში

1 ეტაპი

ქ. რუსთავი (ავტოდრომი)

17.06.2018

თბილისი 2018

1. შეჯიბრების პროგრამა

16.06.2018

- | | |
|--|-----------------------|
| 1.1. მონაწილეების რეგისტრაცია სამანდატო კომისია
(ქ. რუსთავი, ავტოდრომი) | 10:00 სთ. – 14:00 სთ. |
| 1.2. ტექნიკური შემოწმება
(ქ. რუსთავი, ავტოდრომი) | 10:00 სთ. – 14:00 სთ. |
| 1.3. ტრასის გაცნობა
(ქ. რუსთავი, ავტოდრომი) | 14:00 სთ. – 16:00 სთ. |

17.06.2018

- | | |
|---|-----------------------|
| • ბრიფინგი (ქ. რუსთავი, ავტოდრომი, სათათბირო ოთახი) | 09:30 სთ. – 10:00 სთ. |
| • დხურული პარკის გახსნა (ქ. რუსთავი, ავტოდრომი) | 10:00 სთ. |
| • SS 1 – სტარტი (ქ. რუსთავი, კარტინგის ტრასა) | 11:00 სთ. |
| • SS 2 – სტარტი (ქ. რუსთავი, კარტინგის ტრასა) | 12:00 სთ. |
| • SS 3 – სტარტი (ქ. რუსთავი, კარტინგის ტრასა) | 13:00 სთ. |
| • სერვისი (ქ. რუსთავი, ავტოდრომი) | 13:10 სთ. – 14:30 სთ. |
| • SS 4 – სტარტი (ქ. რუსთავი, ავტოდრომი) | 15:00 სთ. |
| • SS 5 – სტარტი (ქ. რუსთავი, ავტოდრომი) | 16:00 სთ. |
| • SS 6 – სტარტი (ქ. რუსთავი, ავტოდრომი) | 17:00 სთ. |
| • წინასწარი შედეგები (ქ. რუსთავი, ავტოდრომი) | 17:40 სთ. |
| • პროტესტები (ქ. რუსთავი, ავტოდრომი) | 17:40 სთ. - 17:10 სთ. |
| • დაჯილდოება (ქ. რუსთავი, ავტოდრომი) | 18:30 სთ. |

2. შეჯიბრების ორგანიზატორი, ოფიციალური პირები

2.1. შეჯიბრების ორგანიზატორი:

შ.პ.ს. “რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი”

მისამართი: საქართველო, ქ. რუსთავი, თბილისი-წითელი ხიდის გზ. 21 კმ.

ტელ: +995 (32) 2307703

ელ. ფოსტა: info@rim.ge

ვებ. გვერდი: rim.ge

დირექტორი: ლელა კალანდია

შეჯიბრის კოორდინატორი: ხათუნა ჯულაყიძე

მობ.: +995-593-98-96-95

2.2. ოფიციალური პირები:

შეჯიბრების ხელმძღვანელი:	არჩილ ნოღაშვილი	595 90 36 69
შეჯიბრების კომისარი:	ვაჟა ლეჟავა	595 42 55 00
დამკვირვებელი სსსფ-დან:	მიხეილ მასოშვილი	599 36 26 88
უსაფრთხოების კომისარი:	მიხეილ ოზგებიშვილი	595 99 73 23
ტრასის კომისარი:	მიხეილ ოზგებიშვილი	595 99 73 23
მთავარი ტექ. კომისარი:	ნიკოლოზ ლომიძე	558 10 30 89
მთავარი ქრონომეტრაუსტი:	ნიკოლოზ მიქელაძე	591 11 10 15
შეჯიბრების მთ. მდივანი:	ხათუნა ჯულაყიძე	593 98 96 95

3. შეჯიბრების ტრასა

- ტრასის სიგრძე 45.6 კმ.
- შეჯიბრის ხანგრძლივობა 7:30 სთ.

4. შეჯიბრების პირობები

4.1. შეჯიბრება ტარდება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის (სსსფ) სპორტული კოდექსის, საქართველოს 2018 წლის საქართველოს ჩემპიონატის Sprint Racing-ში რეგლამენტის და ტექნიკური რეგულაციების მიხედვით შემდეგ კატეგორიებში და ჯგუფებში:

ჯგუფი
N
A
SC

ჯგუფების კლასიფიკაცია ძრავის მოცულობების მიხედვით

ჯგუფის კლასიფიკაცია	ძრავის მოცულობა
1600	1600 სმ ³ -მდე
2000	1600 სმ ³ -დან 2000 სმ ³ -მდე
3000	2000 სმ ³ -დან 3000 სმ ³ -მდე
3000+	3000 სმ ³ და მეტი

4.2. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს შეჯიბრების დებულების შესაბამისად (ქვეპუნქტი 4.1.) რეგისტრირებულ ნებისმიერ კლასში.

4.3. მრბოლელს აქვს უფლება განაცხადი გააკეთოს ერთდროულად 2 (ორი) კლასში, მათ შორის ერთ ერთი უნდა იყოს ის კლასი, რომელსაც შეესაბამება მისი ავტომობილი., შესაბამისი თანხის გადახდის პირობით. მრბოლელის ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს იმ ჯგუფის ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელშიც არის გაკეთებული

განაცხადი. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს მისი ავტომობილის შესაბამისი კლასის ზედა კლასში. ზედა კლასად ითვლება:

- თუ ავტომობილი ეკუთვნის ჯგუფ N-ს, ზედა კლასად ითვლება ამავე ჯგუფის შემდგომი კლასი;
- A ჯგუფის ის კლასი, რომლის ტექნიკური მოთხოვნები აღემატება ავტომობილის ტექნიკურ მონაცემებს (დიდი კუბატურა);
- მომდევნო კატეგორიის ის ჯგუფი და ის კლასი, რომელშიც მონაწილეობენ ანალოგიური ტიპის ავტომობილები და განმცხადებლის ავტომობილის ძრავის მოცულობა არ არის კონკრეტული კლასის კლასიფიკაციაზე მეტი;
- SC ჯგუფში განაცხადის გაკეთების უფლება აქვთ მხოლოდ ერთ ან ორ ადგილიანმა ავტომობილებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ შეჯიბრების ტექნიკურ მოთხოვნებს (ლეგენდსი და მიჯეტი);

4.4. ორგანიზატორს უფლება აქვს შეუცვალოს მრბოლელს გაცხადებული ჯგუფი, თუ მისი სპორტული ავტომობილი არ აკმაყოფილებს გაცხადებული ჯგუფის ტექნიკურ მოთხოვნებს. ასევე ორგანიზატორი იტოვებს უფლებას მიანიჭოს საასპარეზო ჯგუფი იმ მრბოლელს, რომელსაც არ აქვს ან არასწორად აქვს შერჩეული საასპარეზო ჯგუფი (მათ შორის რბოლის დასრულების შემდეგ, შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე).

4.5. მრბოლელები ჩათვლას იღებენ მის მიერ გაცხადებულ ჯგუფში და აბსოლუტურ ჩათვლაში.

4.6. იმ შემთხვევაში, თუ გაცხადებული ჯგუფი არ შედგა (ჯგუფი არ შემდგარად ითვლება თუ ვერ სრულდება 4.8. ქვეპუნქტი), მრბოლელი ავტომატურად იღებს ჩათვლას აბსოლუტურში.

4.7. მონაწილე ავტომობილები უნდა აკმაყოფილებდნენ ფედერაციის მიერ გამოცემულ ყველა დამატებით რეგულაციას და დადგენილებას.

4.8. კლასი შემდგარად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ჯგუფში ტექნიკურ კომისიას გაივლის, შეჯიბრებაზე მონაწილეობის უფლება მიეცემა და სტარტზე (ვარჯიში არ ითვლება შეჯიბრების სტარტად) იღებენ მინიმუმ 3 (სამი) მრბოლელი (სპორტული ავტომობილი).

4.9. ერთი სპორტული ბოლიდით ასპარეზობის უფლება აქვს მხოლოდ ერთ მრბოლელს.

4.10. თუ მრბოლელი რეგისტრირდება შტურმანთან ერთად, რბოლის ბოლომდე, ყველა გავლა (მათ შორის ვარჯიში) უნდა შეასრულოს მასთან ერთად. რბოლის დროს დისტანციის უშტურმანოდ გავლის შემთხვევაში მრბოლელს დაუფიქსირდება კონკრეტული გავლის ნულოვანი დრო.

4.11. სტარტზე განლაგებულ ყველა სპორტულ ბოლიდს წინა საქარე მინაზე უნდა ჰქონდეს განთავსებული ტექნიკური კომისიის გავლის დამადასტურებელი აღნიშვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში მრბოლელი მოიხსნება შეჯიბრიდან.

5. შეჯიბრების წესები

5.1. სტარტი: მსაჯის მითითებით შუქნიშნის მწვანე შუქის მოქმედების (მწვანე შუქის ანთებიდან 10 წამის განმავლობაში) პერიოდში ავტომობილი უნდა დაიძრას და დატოვოს ტერიტორია (ნიშანი) “ზონის დასასრული”, დრო ფიქსირდება ფოტო სხივით.

თუ ავტომობილი ვერ დაიძრა მწვანე შუქნიშნის მოქმედების პერიოდში, უნდა დატოვოს სასტარტო ზონა თავისი სვლით ან გარეშე პირთა დახმარებით.

5.2. მანქანები სტარტს იღებენ 1 წუთის ინტერვალით.

5.3. ფინიში: ზოლის გადაკვეთით (ფოტო ფინიში). ფინიშის გადაკვეთის შემდეგ მრბოლელები ავტომობილებს განალაგებენ ორგანიზატორის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.

5.4. რბოლა: მონაწილეს აქვს დისტანციის გავლის უფლება 4-ჯერ.

5.5. დისტანციის გავლის ყველა მცდელობა აითვლება სტარტიდან ფინიშის ჩათვლით.

5.6. შეჯიბრება შედგება 4 სტარტისგან და 4 ფინიშისგან.

6. მონაწილეები

6.1. შეჯიბრებაზე დაიშვებიან პირები, თანახმად ჩემპიონატის რეგლამენტისა. მრბოლელის სპორტული ავტომობილი უნდა შეესაბამებოდეს სსსფ-ს მიერ დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს. მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- მრბოლელების ლიცენზია;
- ავტომობილის ომლოგაციის ბარათი ან ფედერაციის მიერ მიღებული კონკრეტული მოდელის ტექნიკური გადაწყვეტილება;
- ავტომობილის ტექნიკური პასპორტი;
- სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი (გაცემული სსსფ-ს მიერ).
- შეჯიბრებაში მონაწილეობის განაცხადი;

6.2. შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის გადასახადი თითოეულ ჯგუფში რეგისტრაციისთვის შეადგებს 100 (ასი) ლარს და 00 თეთრს. აღნიშნული თანხა მრბოლელის მიერ გადახდილი უნდა იქნეს შეჯიბრის დღეს რეგისტრაციის დამთავრებამდე.

6.3. შეჯიბრება ატარებს ღია ტურნირის სახეს და მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და სსფ-ს წევრი ნებისმიერი ქვეყნის წევრი ეროვნული ფედერაციის მიერ გაცემული საერთაშორისო ლიცენზიის მქონე პირებს.

6.4. პასუხისმგებლობა მატერიალურ ზარალზე, როგორც მონაწილეების და მათი ქონების მიმართებაში, ასევე მესამე პირთა და მათი ქონების მიმართებაში (მარტო დახურულ პარკში ყოფნის პერიოდის გარდა) ევალებათ უშუალოდ ზარალის გამომწვევ პირებს. ორგანიზატორი ამ პასუხისმგებლობას არ იზიარებს.

6.5. დაშვებულია ავტომობილის ტექ. შეკეთება და საწვავით შევსება უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

6.6. სარბოლო მონაკვეთზე უსაფრთხოების ღვედებისა და ჩაფხუტის არ ქონის ან არასათანადო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება შეჯიბრიდან.

7. მონაწილე ავტომობილები

7.1. შეჯიბრებაზე დაშვებულია ავტომობილები თანახმად შეჯიბრების ტექნიკური მოთხოვნებისა.

7.2. ავტომობილზე დაშვებულია სპონსორის და სპორტული აქსესუარების რეკლამირება ნებისმიერ ადგილას, გარდა ხედვითი და წინა გვერდითი შუშებისა და იმ ადგილებისა, რომელიც განკუთვნილია ორგანიზატორისთვის.

8. პროტესტები

8.1. პროტესტები მიიღება მხოლოდ მონაწილის (Competitor) ლიცენზიის მქონე პირისგან წერილობით ფორმით შეჯიბრების ხელმძღვანელის სახელზე შეჯიბრების მსვლელობისას ან წინასწარი შედეგების გამოცხადებიდან 30 წუთის განმავლობაში ფულადი დეპოზიტის დადასტურებით.

8.2. პროტესტის სფასური – 300 ლარი.

9. ორგანიზაციები და განმარტებები

9.1. საორგანიზაციო კომიტეტს უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ასპარეზობის რეგლამენტში, წინასწარი ან საერთო განცხადების სახით.

9.2. ორგანიზატორი უფლებამოსილია გადაიტანოს ან შეწყვიტოს შეჯიბრება ფორს-მაჟორული ან ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აღნიშნულის შემთხვევაში არ აგებს პასუხს მიყენებულ მორალურ და მატერიალურ ზარალზე.

10. შედეგების განსაზღვრა

10.1. რბოლის საბოლოო შედეგები განისაზღვრება თითოეული მონაწილის მიერ ნაჩვენები ოთხივე სპეც მონაკვეთის გავლის დროების და საჯარიმო დროების ჯამის მიხედვით.

10.2. თითოეულ ჯგუფში ქულების დარიცხვა ხდება თანახმად ჩემპიონატის რეგლამენტისა

11. დაჯილდოება.

- ✓ I ადგილი – მედალი, დიპლომი, თასი;
- ✓ II ადგილი – მედალი, დიპლომი;
- ✓ III ადგილი – მედალი, დიპლომი;